ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და მკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. მარტის 10. № 4 ტფილისი

## შინაარსი

**კომუნალური და საბინაო მეურნეობა**

25. საქართველოს სსრ ქალაქ-ადგილებში და მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

26. იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, იმ სახლებში რომლებიც სხვადასხვა უწყებათა, წამოწყებათა და დაწესებულებათა გამგებლობაშია, და კერძო მფლობელთა სახლებში სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიების მოწყობის შესახებ.

1933

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა

### 25. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ ქალაქ-ადგილებში და მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ ქალაქ-ადგილებში და მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის შესახებ და ამ დებულების მოქმედება გავრცელებულ იქნას მთლათ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის თებერვლის 28-ის დადგენილება „ადგილობრივი საბჭოების ქონების ინვენტარიზაციის შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მუხ. 1).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1935 დეკემბრის 8. № 1668.

ტფილისი

---

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ ქალაქ-ადგილებში და მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. ვინაიდან არ ასებობს სრული ცნობები საქართველოს სსრ ქალაქ-ადგილებში და მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების რაოდენობის, ღირებულებისა და მდგომარეობის შესახებ, რაც საჭიროა აღნიშნული დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და რეკონსტრუქციისათვის, არსებული საბინაო ფონდის განაწილებისათვის და აგრეთვე საგადასახადო და დამზღვევი ორგანოების მუშაობის გაადვილებისათვის, ამ დებულების საფუძველზე ჩატარებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ ყველა ქალაქ-ადგილას და მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბაში შენობების, კომუნალური ნაგებობებისა და მიწების ინვენტარიზაცია.

2. ინვენტარიზაცია გულისხმობს ობიექტების აღრიცხვას—ამ ობიექტების კუთვნილების გამოვლინებით, ძირითადი მაჩვენებლების კვალობაზე მათი აღწერით, მათი ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევით და შეფასებით.

**შენიშვნა.** მიწები, როგორც სამოქალაქო ბრუნვიდან გამოკლებული ქონება, არ შეფასდება.

3. მიწებისა და შენობების ინვენტარიზაციის დროს მიწის მოსარგებლენი და აგრეთვე შენობების მესაკუთრენი და მოსარგებლენი ვალდებულნი არიან წარადგინონ, კომუნალური ორგანოების მოთხოვნის თანახმად, მათ ხელთ ქონებული დოკუმენტები შენობებისა და მიწების სარგებლობის უფლების შესახებ.

4. მიწების და შენობების ძირითადი ინვენტარიზაციის დამთავრებისას და აგრეთვე ინვენტარული ცვლილებების რეგისტრაციის პროცესში კომუნალური ორგანოები აძლევენ საქალაქო (სადაბო) მიწებისა და მუნიციპალიზებული შენობების მოსარგებლეთ და არამუნიციპალიზებული შენობების მფლობელთ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი განცხადების თანახმად, ინვენტარული დოკუმენტების, აღწერისა და გეგმების ასლებს.

5. ადგილებზე ინვენტარიზაციას ახორციელებენ ადგილობრივი საბჭოები, კომუნალური ორგანოების ხაზით, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით.

6. რათა საინვენტარიზაციო ცნობები თანადროული მონაცემების დონეზე იყოს, ინვენტარიზაციის შემდეგ, რაც ობიექტების ერთდროულ სრულ აღრიცხვას წარმოადგენს, ადგილობრივი საბჭოები კომუნალური ორგანოების ხაზით აწარმოებენ აგრეთვე აღრიცხვის ობიექტების ღირებულებასა და შემადგენლობაში შემდგომ მომხდარი ცვლილებების მიმდინარე რეგისტრაციას.

## II. ინვენტარიზაციის ობიექტები.

7. ამა დადგენილების წესით ინვენტარდება, კუთვნილების მიუხედავად:

ა) დასასახლებელი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისა და სხვა მიწები ამასთანავე, ის მიწის ნაკვეთები, რაც მიჩენილია ცალკეული უწყებების სარგებლობად (რკინის გზა, სამხედრო უწყება, საჰაერო ფლოტის სამმართველო, საწარმოო წამოწყება, კომუნალურ წამოწყებათა გარდა, და სხვ.), ინვენტარდება მხოლოდ გარე-საზღვრების მიხედვით;

ბ) საბინაო-კომუნალური შენობები (საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები, კონტორები, კანცელარიები და სხვა ადმინისტრატიული შენობები), სოციალურ-კულტურული შენობები (სკოლები, კლუბები, თეატრები, საავადმყოფოები, აბანოები და სხვ.) და კომუნალური შენობები სამრეწველო და სასაწყობო ხასიათისა, სამრეწველო მოწყობილობით (არაკომუნალური შენობები სამრეწველო და სასაწყობო ხასიათისა ინვენტარიზებულ არ უნდა იქნას ამა დებულების წესით) და აგრეთვე მათი მომსახურებელი დამხმარე შენობები (სარაიები, სარდაფები და სხვ.);

გ) კომუნალური ნაგებობანი: გზები, ხიდები, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, სამელიორაციო ნაგებობანი, კაშხალები და სხვ.

8. მე-7 მუხ. „ბ“ პუნქტში აღნიშნული შენობები ინვენტარიზებულ უნდა იქნას იმისდამიუხედავად, ფაბრიკა-ქარხნების ტერიტორიაზე და რკინის გზისთვის მიჩენილი ზოლის ფარგალშია ეს შენობები, თუ ქალაქებისა და დაბების საამშენებლო კვარტალებში, აგრეთვე იმისდამიუხედავად, თუ ვის ეკუთვნის ეს შენობები—სახელმწიფო, კოოპერაციულ, პროფესიონალურ და საზოგადო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, თუ კერძო პირებსა და მათ შენაერთებს.

## III. ინვენტარიზაციის ობიექტების აღრიცხვა.

9. ინვენტარიზაციის ობიექტების აღრიცხვა გულისხმობს: ა) მათი არსებობის, ადგილმდებარეობისა და კუთვნილების გამორკვევას; ბ) მათ აღწერას ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით; გ) მათი ტექნიკური მდგომარეობისა და გაცვეთის მეტნაკლებობის გამორკვევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ინვენტარიზაციის ობიექტები აღრიცხება ნატურად, ყველა წესით ჩატარებული გამოკვლევისა და აღრიცხვის მასალის გამოყენებით.

დაფარულ ნაგებობათა (როგორიცაა: წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი, კაბელის გაყვანილობა და სხვ.) აღწერის დროს საჭიროა სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნას გეგმები, ხარჯთაღრიცხვები, ანგარიშები, სამუშაო ნახაზები და სხვა მასალა, რაც ამ ნაგებობათ ეხება.

11. ინვენტარიზაციის ობიექტების აღწერის დროს უნდა აღინიშნოს:

ა) მიწების ხაზით—საზღვრები, ფართობი, სანახის სახე და ნიადაგი;

ბ) შენობების ხაზით—შენობის დანიშნულება, კედლებისა და სახურავის მასალა, ზომა (სართულების რიცხვი, მოცულობა, ფართობი), კაზმულობის სახე, გათბობის სისტემა, აგების წელი, ტექნიკური მდგომარეობა, გაცვეთის პროცენტი, წარსულში ექსპლოატაციის პირობები;

გ) სამრეწველო და სასაწყობო ხასიათის კომუნალურ შენობათა სამრეწველო გაწყობილობის ხაზით—საგნის სახელწოდება და დანიშნულება, სისტემა, ტიპი, საფაბრიკო ნომერი, ტიპური ზომა ან წონა, დამზადების წელი, ექსპლოატაციის დაწყების წელი, ტექნიკური მდგომარეობა, გაცვეთის პროცენტი, წარსულში ექსპლოატაციის პირობები;

დ) ნაგებობათა ხაზით—ნაგებობის სახელწოდება და დანიშნულება, ასალა, ზომა, აგების წელი, ექსპლოატაციის დაწყების წელი, ტექნიკური მდგომარეობა, გაცვეთის პროცენტი, წარსულში ექსპლოატაციის პირობები.

აღრიცხვაში ერთსახეობის მიღწევის მიზნით ზემოაღნიშნული ნიშნების ჩამოთვლა აღრიცხვის დროს სავალდებულოა, ხოლო, ასაწერი ქონების სახის მიხედვით, ეს ნუსხა შეიძლება შევსებული იქნას სხვა ნიშნებითაც.

**შენიშვნა.** მიწების, შენობებისა და ნაგებობის აღწერას უნდა დაერთვას მათი გრაფიკული ასახვა გეგმებად, სქემატურ ნახაზებად და სხვ.

12. ინვენტარიზაციის ობიექტების აღრიცხვა მთავრდება საინვენტარო ცნობების ინვენტარში (საინვენტარო დავთრები და სხვ.) შეტანით და ინვენტარიზაციის საერთო ჯუმლის შედგენით.

13. ინვენტარიზაციის ობიექტების რეგისტრაციისა და საინვენტარიზაციო ცნობების საერთო ჯუმლის შედგენის მეთოდებს და ფორმებს შეიმუშავებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

## IV. შეფასების მეთოდები.

14. შენობათა და ნაგებობათა შეფასების დროს განისაზღვრება: ა) მათი პირვანდელი ღირებულება (სამშენებლო ღირებულება) და ბ) მათი ნამდვილი ღირებულება ინვენტარიზაციის მომენტში.

15. შენობათა და ნაგებობათა პირვანდელი (სამშენებლო) ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ღირს მათი აგება ინვენტარიზაციის მომენტში, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნას განსაზღვრული ტიპის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობისა და ნაგებობისათვის დაწესებული მზომის საშუალო სამშენებლო ღირებულება.

16. სამრეწველო ნაკვეთების ხასიათის მქონე გაწყობილობისა და ინვენტარის, როგორიცაა მანქანები, სამედიცინო და სხვა იარაღი და სხვ., პირვანდელი ღირებულება განისაზღვრება სათანადო ქონების ღირებულებით თანადროული ფასების კვალობაზე; ამასთანავე, დამხმარე გამართულობათა და ხელსაწყოთა (ღვედი, საძირკველი და სხვა მისთ.) პირვანდელი ღირებულება უნდა აღინიშნოს თვითეული მანქანისა და მოწყობილობისათვის ცალ-ცალკე.

**შენიშვნა 1.** გაწყობილობისა და ინვენტარის საგნების ფასი განისაზღვრება იმ წამოწყებათა პრეისკურანტებით, რომელთა მარკასაც ისინი ატარებენ, ან სხვა იმ საწარმოთა პრეისკურანტებით, რომელნიც ამზადებენ იმავე გაწყობილობას და ინვენტარს. ქონება, რომელსაც არა აქვს იმ წამოწყების მარკა, სადაც იგია შეძენილი, შეფასდება ცენტრალური ან ადგილობრივი სახელმწიფო ფირმების არსებული წინადადების ან პრეისკურანტების თანახმად.

**შენიშვნა 2.** გაწყობილობისა და სხვა მისთ. შეფასების დროს ღირებულებაში უნდა ჩაირთვას მის მიტანასა და დადგმაზე გაწეული ნამდვილი ხარჯი; ამასთანავე, როგორც პირველის, ისე მეორის ღირებულება უნდა აღინიშნოს შესაფასებელი საგნის ღირებულების განცალკევებით.

17. ინვენტარიზაციის ობიექტების ნამდვილი ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ პირვანდელი ღირებულება რა თანხით შემცირდა ტექნიკურ გაცვეთასთან დაკავშირებით.

## V. ინვენტარიზაციის ვადები.

18. მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაცია ქალაქებსა, სოფლებსა და მუშათა, საკურორტო და საავარაკო დაბებში დამთავრებულ უნდა იქნას 1939 წ. იანვრის 1-თვის. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ეძლევა კერძო ვადების დაწესების უფლება.

## VI. საინვენტირიზაციო სამუშაოთა დაფინანსების წყაროები.

19. მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის ხარჯები გაიღება შემდეგი წყაროებიდან:

ა) კომუნალური მეურნეობის ორგანოთა უშუალო გამგებლობაში მყოფი მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციისათვის საჭირო მუშაობა წარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემული სახსრებით;

ბ) ამ მუხლის „ა“ პუნქტში და მის შენიშვნაში აღნიშნულის გარდა, სხვა მიწებისა და შენობების ინვენტარიზაციისათვის საჭირო მუშაობა სწარმოებს იმ სახელმწიფო, კოოპერაციულ, პროფესიონალურ და საზოგადო დაწესებულებების

ორგანიზაციებისა და აგრეთვე კერძო პირების სახსრებით, რომელთა უშუალო განკარგულებაშიაც ეს მიწები და შენობებია საიჯარო ხელშეკრულების ან სხვა საფუძველზე (საკუთრების, აღნაგობისა და სხვა უფლება).

**შენიშვნა.** ის მუშები და მოსამსახურეები და მათი შენაერთები, რომელთაც მიწის ნაკვეთები აღებული აქვთ იჯარად ვადით 5 წლამდე საკუთარი საჭიროებისათვის (უშემოსავლოდ), და აგრეთვე მოსახლეობის მშრომელი კატეგორიები, რომელთაც მიწის ნაკვეთები აღებული აქვთ იჯარად ვადით 5 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ბოსტნეულისათვის მოიჯარადრეთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად (უმოგებოდ), მიწების ინვენტარიზაციაზე ხარჯს არ გაიღებენ: ეს ხარჯი დაიფარება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრით.

20. ინვენტარიზაციის სამუშაოთა სასყიდლის ზღვრულ განაკვეთებს აწესებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და უდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

21. საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ზღვრული განაკვეთების საფუძველზე განსაზღვრავენ მიზნობრივი გამოსაღების განაკვეთებს ქონების ინვენტარიზაციისათვის და გამოაქვეყნებენ სავალდებულო დადგენილების სახით. ინვენტარიზაციის სამუშაოთა სასყიდლის განაკვეთები აგებულ უნდა იქნას თვითღირებულების ანაზღაურების პრინციპზე და დადიფერენცდეს მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების იმ მოსარგებლეთა სოციალური მდგომარეობისა და მატერიალური შეძლებულობის მიხედვით, რომელთაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ინვენტარიზაციის სამუშაოთა სასყიდლის გაღებაში.

22. საინვენტარიზაციო სამუშაოთათვის დაწესებული მიზნობრივი გამოსაღები მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების მოსარგებლეთ გადახდებათ ორ ვადაზე:

ა) ინვენტარიზაციის სამუშაოთა დაწყებისას—50-დან 75 პროცენტამდე იმ განაკვეთისა, რაც უნდა გადახდეს აღნიშნულ მოსარგებლეთ;

ბ) მუშაობის დამთავრებისას, ხოლო საინვენტარიზაციო დოკუმენტების გაფორმებასა და გაცემამდე—განაკვეთის დანარჩენი ნაწილი.

უკეთუ სასყიდელი შეტანილი არ იქნა დაწესებულ ვადაზე, იგი გადაიხდევინება სანოტარო ორგანოს სააღსრულებო წარწერით სათანადო ადგილობრივი კომუნალური ორგანოს შეტყობინებაზე ხვედრი გამოსაღების რაოდენობის შესახებ; სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა ხაბჭოს დადგენილების „ა“ კარის 33 მუხლის თანახმად, რა დადგენილებითაც დამტკიცებულია იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 33 №-ი, მუხ. 254).

23. ინვენტარიზაციის სამუშაოთათვის დაწესებული გამოსაღები შეადგენს სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურ სახსარს, რაც დანიშნულია მარტოოდენ ძირითადი და მიმდინარე ინვენტარიზაციის ხარჯებისათვის.

## VI. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საჭირო სამუშაოების ორგანიზაცია.

24. ინვენტარიზაციის სამუშაოებს, როგორც საერთო წესი, ახორციელებენ ადგილობრივი კომუნალური ორგანოები საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სათანადო საწარმოო ორგანიზაციების მეშვეობით, ამ უკანასკნელებთან, ადგილობრივი საბჭოების უშუალო ხელმძღვანელობით, დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად.

25. მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ამ კომისარიატთან მოწყობილი ცენტრალური გეო-ინვენტარიზაციის ბიუროს მეშვეობით.

26. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური გეო-ინვენტარიზაციის ბიურო ინახება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

27. საქალაქო (სადაბო) მიწების ინვენტარიზაციის სამუშაოები, როგორც საერთო წესი, წარმოებს აგეგმვა-დაგეგმვის სამუშაოებთან სრული დაკავშირებით.

28. ამ დებულების განსავითარებლად საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცემს ინსტრუქციას.

---

## 26. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ-ს

**იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, იმ სახლებში, რომლებიც სხვადასხვა უწყებათა, წამოწყებათა და დაწესებულებათა გამგებლობაშია, და კერძო მფლობელთა სახლებში სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიების მოწყობის შესახებ.**

სახალხო მეურნეობის სათანადოდ დაყენებისათვის ხელისშეწყობისა, სახლების სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობისათვის და სარემონტო გეგმების შესრულებისათვის საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებისა და სასახლო აქტივის მიერ სახლთმფლობელობათათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

1. იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, იმ სახლებში, რომლებიც სხვადასხვა უწყებათა, წამოწყებათა და დაწესებულებათა გამგებლობაშია, და კერძო მფლობელთა სახლებში მოწყობილ იქნას სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიები.

**შენიშვნა.** საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციულ ამხანაგობათა გამგებლობის სახლებში სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიის ფუნქციებს ასრულებენ სარევიზიო კომისიები.

2. სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიას აირჩევს სახლის მდგმურთა საერთო კრება თავისი შედგენილობიდან რიცხვით არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ხუთი კაცისა ერთი წლით, საარჩევნო უფლების მქონე პირთაგან, და დამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო (ქ. ტფილისში — სარაიონო საბჭო) და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

3. სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიის ამოცანას შეადგენს:

ა. მუნიციპალიზებულ სახლებში და იმ სახლებში, რომლებიც სხვადასხვა უწყებათა, წამოწყებათა და დაწესებულებათა გამგებლობაშია:

1) გაუწიოს მეთვალყურეობა სახლმფლობელობის წესიერულად შენახვას სასანიტარო მხრით;

2) გაუწიოს მეთვალყურეობა საჭირო რემონტის თავის დროზე გაკეთებას;

3) გაუწიოს მეთვალყურეობა სახსრის წესიერად ხარჯვას სახლის მოვლასა და რემონტზე;

4) გაუწიოს მეთვალყურეობა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის წესიერად გამოყენებას;

5) გამოიკვლიოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომები, შეადგინოს აქტები ყოველგვარ დარღვევაზე მდგმურების მიერ სახლის წესიერად შენახვის სფეროში (ანტისანიტარია, დაუზოგველი მოპყრობა, სახანძრო ღონისძიებათა აუსრულებლობა და სხვა მისთ.) და აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის სპეკულაციის შემთხვევაზე.

ბ. კერძო მფლობელთა სახლებში:

1) გაუწიოს მეთვალყურეობა შენობების წესიერად შენახვას სასანიტარო მხრით;

2) გაუწიოს მეთვალყურეობა საჭირო რემონტის თავის დროზე გაკეთებას;

3) გაუწიოს მეთვალყურეობა სადგომების დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

4) გაუწიოს მეთვალყურეობა კომუნალური მომსახურეობისათვის დადგენილი სასყიდლის წესიერად და თავის დროზე გადახდევინებას;

5) გაუწიოს მეთვალყურეობა განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის კომუნალურ ფონდში თავის დროზე ჩარიცხვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) გაუწიოს მეთვალყურეობა იმას, რათა მშრომელთა საბინაო უფლებანი დარღვეულ არ იქნას, კერძოდ—რათა ბინის ქირა მშრომელთ ახდევინონ დადგენილი ტარიფის თანახმად;

7) შეადგინოს აქტები ამა მუხლის ა ლიტერის მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ დარღვევებზე.

4. სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიას ეკისრება—გასცეს მის მიერ მომსახურეობა-გასაწევი კერძო შფლობელობის სახლის მდგომარეობის შესახებ ცნობები, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოსსსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 31-ის დადგენილებით სახლის სამოურაოს (სახლის პატრონი, მოიჯარე, სახლის მოურავი, მუნიციპალიზებული სახლის გამგე და კომენდანტი, სასტუმროს და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონი) მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემისათვის" (საქ. სსრ. კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 151; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7.)

5. სემეურნეო-სამეთვალყურო კომისია თავისი საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს სახლის მდგმურთა საერთო კრებას, რომელსაც იგი მოიწვევს ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც.

6. ამ დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი გამოსცემს ინსტრუქციას სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიების საქმიანობის შესახებ.

7. დადგენილება ესე შემოღებული იქნას სამოქმედოდ ქ. ტფილისსა, ქუთაისსა და ფოთში დღიდან მისი გამოქვეყნებისა, ხოლო სხვა ქალაქებში ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების ვადას განსაზღვრავს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ა/კ სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოსთან (საქ. სსრ-ში) შეთანხმებით.

8. მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ისა აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

## II.

9. „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემისათვის" გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ.

36=169

ოქტომბრის 31-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხლი 151) მე-II კარს 1930 წ. ნოემბრის 24 დადგენილების რედაქციით (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. №-ი, მუხ. 336) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** კერძო მფლობელთა სახლებში, სადაც მოწყობილია სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიები, ცნობებს და მოწმობებს იძლევიან სამეურნეო-სამეთვალყურო კომისიები“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. **ა. ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. იანვრის 14. № 115/10.
ტფილისი.

---

## **გ ა ხ წ ო რ ე ბ ა**

| **კან. კრ.** | **გვ.** | **ხტრიქ.** | **დაბეჭდილია** | **უნდა იყოს** |
|---|---|---|---|---|
| **ამ ნომერში** | 51 | 7 | მდგომარეობის | **მდგმურების** |

**ფასი 20 კაპ.**

**გამოსცემელი** საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 7. პ/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 29/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II; ტირაჟი 2.500.

მთავლ. რწმ. № 87037 საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა. შეკვ. № 100